აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი

საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 25

10 ივნისი 2004 წელი ქ.ბათუმი

2004 წლის 20 ივნისის აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობისათვის ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ რეგისტრაციის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებზე დაკვირვების მიზნით გატარდეს რეგისტრაციაში „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია” და მიენიჭოს დამკვირვებლის უფლება შემდეგ საარჩევნო ოლქებში: №79/1, №79/2, №81/3, №81/4, №83/5, №83/6, №80/7, №82/9, №82/10, №84/11, №84/12.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის 5) მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს დაუყოვნებლივ.

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა

კომისიის მდივანი გიზო მჭედლიძე